№ 137
შაბათი, 1 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 137
შაბათი, 1 ივლისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

## ბ. რატილის კონცერტი.

კარგა ხანია ისე არ გვისიამოვნია, როგორც პეტრეპავლობა ღამეს ბ. რატილის კონცერტზედ! სწორედ დიდის პატივისცემისა და თანაგრძნობის ღირსია ეს უცხო კაცი, რომელმაც შრომისა და ენერგიის მეოხებით გააჩაღა სრულიად ახალი და მასთანავე დიდი საქმე. ქართველი საზოგადოება თავდაპირველად სიხარულით მიეგება ახალს საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ ეტყობა, რომ გულ-გრილობას ჩვეულებრივად სურს დაიკავოს ადგილი გატაცებისა. იქნება ჩვენ ვცდებით და უკანასკნელ კონცერტზედ საზოგადოების ნაკლებ დასწრება სხვა გარეშე-რამ გარემოებას უნდა მიეწეროს და არა გულგრილობასა და გულ-გატეხას. ღმერთმაც ქნას, რომ ვცდებოდეთ, მისთვის რომ მართლაც სამწუხაროა ამისთანა კეთილი საქმე უყურადღებოდ დაგვეტოვა და გულ-გრილობით გაგვეფუჭებია. ბევრიც დაკარგა საზოგადოებამ, რომ ამ კონცერტს არ დაესწრო: ზოგიერთი ახალი გურული სიმღერა ისეთის სიცხოველით და გრძნობით შესრულდა ხორომ და დანარჩენიც ისე მშვენიერად იმღერა, რომ დამსწრენი ნამდვილად დასტკბნენ და ისიამოვნეს.

ჩვენ წინ წამოდგა სამი ქვეყანა, სამი სხვა-და-სხვა კულტურა, სამი დიდებული ხალხოსნობა: განათლებული, შრომითა და ენერგიით აღჭურვილი ევროპა თვისის განვითარებულის ხელოვნებით; სიცოცხლით სავსე, უკვდავი და დაუღალავი, განვითარებული და დიდათ პოეტური ერი საქართველოსი და დიდებულის წარსულით, გრძნობით სავსე სიმღერით ირანი. ქართველობის წარმომადგენელად აქ იყო ერთის მხრით, ქართლ-კახეთი, თვისის ღრმა გრძნობითა და უძველესის, გულუბრყვილო და დიდებულის კილოთი, მეორეს მხრით გურია შესანიშნავის სიცხოველის, შეუდარებელის ენერგიისა და დიდად პოეტურის სიმღერებით.

რამდენს იმედს იწვევს გულში ამათი სიმღერა-გალობა! ჩვენმა მუდმივმა მტერმაც, თუ-კი გვყავს მტერი, უნდა აღიაროს, რომ ერს, რომელსაც ასეთი მრავალნაირი, მაღალისა და პოეტურის გრძნობათა აღსავსე ბუნება დაჰყოლია, უკვდავ არს და ბრწყინვალე მომავალს უნდა ელოდეს! მოისმინეთ, მაგალითად, ,,ქობულეთური'', ,,გურული ცხენოსნური'', ,,მაყრული'', მოისმინეთ გაცხარებული, მხიარული და ლამაზი კილო ამ სიმღერათა, მოისმინეთ აგრეთვე კახური: ,,ნანა'' და ქართლული ,,ხევ ხევთეონა'' მათი დინჯი, ღრმა მწუხარებისა და ამასთანავე დიდის იმედით შემკული კილო და თქვენს გულში მხიარული, კარგი გრძნობა იღვიძებს, რომ ეს ერი არა თუ-არ მომკვდარა, არა თუ მას არ სძინავს, როგორც გვარწმუნებს ერთი ჩვენი პოეტი, არამედ ცოცხალ არს თვისის წარსულითა და უკვდავ არს თვისის მომავალით!

საქართველოს გვერდს ამოუდგა ირანი თვისის ბაიათებით. ვინ იტყვის, რომ ბაიათი გრძნობით სავსე არ იყოს, რომ სასიამოვნო გასაგონი არ იყოს, მაგრამ არის მათში ისეთი რაღაც, რომელიც კაცს უზომო მწუხარებას უღვიძებს და ცუდს სასოწარკვეთილებასა ჰგვრის. ნება-უნებლიედ ლონდები და ჰფიქრობ, რომ ამ კილოს შემქმნელი თვის-და-თავად ახალსა და უფრო მაღალს ცხოვრებას ველარ შეითვისებს, რომ მას ძალა არა აქვს ძილი დასტოვოს და ახლანდელს ინტენსიურს ცხოვრებას დაეწაფოს!

ამ ორ ერთა შორის ჩამდგარა ევროპიელი, მაგრამ შეხედეთ, როგორ სხვა-და-სხვა ნაირად ირჯება ის მათ შესახებ. ქართველს ერს ევროპიელი მხოლოდ ორგანიზაციას აძლევს, ეუბნება „დანარჩენი შენც კარგად შეგიძლია მოაწყოო“, მისს სიმღერა-კი დიდის პატივით ეპყრობა და უცვლელად მღერის, ხოლო სპარსელს, როგორც მძიმე ავადმყოფსა და უძლურს, პატრონობასა და მზრუნველობას უწევს, საჭიროდ სთვლის მისს სიმღერას შალაშინი გაჰკრას, გაამშვენიეროს და უფრო ცხოვლად იმღეროს, რათა ნამეტანს სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდოს მსმენელი.

ბევრი სხვა-და-სხვა ნაირი ფიქრი გამოიწვია ჩვენში ქართულ კონცერტმა, დიდათაც დაგვატკბო ყველანი და ამიტომ სრულის გულწრფელობით მადლობას ვუძღვნით უანგარო მუშაკთ.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩუღურეთსა და ავლაბარში მცხოვრებ მდაბიო ხალხ შორის ამ უკანასკნელს კვირას გავრცელებულა რაღაც უცნაური ავადმყოფობა: ხალხს მუცლის გვრემა უვლის, სუსტდება და ფალარათი ემართება. ამ სენს ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ შემდეგ შეიძლება უფრო გაძლიერდეს და გავრცელდეს.

*** როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ე. ს. კავალიოვი დაუნიშნავთ ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად.

*** როგორცა სჩანს ცხენის რკინის გზის მმართველ და თვალ-ყურის მგდებელ კომისიის ჟურნალიდგან, ამ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში ხსენებულს კომისსიას სხვა-და-სხვა უწესოებისათვის ბელგიის ცხენის რკინის გზის საზოგადოებისათვის ჯარიმად შეუწერია 195 მან., ხოლო ყორღანოვისათვის 10 მან. ამას გარდა კომისიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ბელგიის ცხენის რკინის გზის საზოგადოება ქალაქთან დადებულ ხელ-შეკრულობით ვალდებული იყო ათის წლის შემდეგ ვენური ვაგონები ეტარებინა; ათი წელიწადი გავიდა, მაგრამ ეს ვაგონები-კი აქამდის არა სჩანს. რადგან დიდად საჭიროა ასეთის ვაგონების შემოღება, კომისსიამ დაადგინა, შეუთვალოს ცხენის რკინის გზის საზოგადოებასა, რომ ამ ზაფხულსავე შემოღებულ იქმნას ვენური ვაგონები, რიცხვით 26. განხილულ იქმნა აგრეთვე განცხადება ხმოსნის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომ ვერის ხიდიდგან რკინის გზის სადგურზედ მიმავალნი იძულებულნი არიან 10 წუთს ელოდნენ ვაგონის დაძვრას, შემდეგ ამდენივე დრო უნდა დაჰკარგონ «პარკთან» სადგურზედ მიმავალ ვაგონის ლოდინში და მერე კიდევ რამდენიმე წუთიც რკინის გზასთანაო. კომისიამ დაადგინა მიანდოს ხმოსანს ა. ს. პაპოვს მოელაპარაკოს ცხენის რკინის გზის მმართველობას ამ უწესოების ასაცილებლად. ეს დადგენილებანი კომისიისა ქალაქის გამგეობამ უკვე განიხილა და დაამტკიცა.

*** ქუთაისი: ჩვენის თეატრის შეკეთების საქმე, როგორც იქნა, გარდასწყვიტა 24 ივნისს ქალაქის საბჭომ ამნაირად: ისესხოს ქალაქმა კერძო პირისაგან 6,500 10% სარგებლით და შეუდგეს დაუყოვნებლივ თვით ქალაქის გამგეობა კომისიის დახმარებით ხარაზოვისეულის თეატრის გადაკეთებას. ამ ვალის მოსასპობელ წყაროდ მიეჩინოს შემოსავალი იმავე თეატრისა, რომელიც ქალაქის გამგეობის განკარგულებაში უნდა დარჩეს. იმედი აქვთ, რომ ამ გარდაწყვეტილებას გუბერნიისას საქალაქო საბჭო შეიწყნარებს, რომელიც წინად არ იყო თანახმა იმავე შენობის გირავნობით ფულის სესხებაზედ.

*** იქიდგანვე: 24 ივნისს საბჭოს სხდომის დროს თავ. პ. თუმანიშვილმა შემოიტანა წინადადება, რომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა რუსეთიდგან გამოყვანილი რკინის გზა შეუერთდეს კავკასიისას ქ. ქუთაისში; ან თუ ვერ მოხერხდა ეს, ვეცადოთ მაინც, რომ მიმართულება აწ არსებულის ბათუმ-ტფილისის რკინის გზისა შეცვლილ იქმნას: სამტრედიიდგან ან კოპიტნარიდგან დაწყებული იმნაირად, რომ შემოვიდეს პირდაპირ ქუთაისში და მერე შეუერთდეს ისევ ზესტაფონში.

*** იქიდგანვე: 23 ამ თვეს, დილის 3—4 საათზედ ბ. ალ. ჩ—ევს სადგომიდგან გაეპარა 10—11 წლის ვაჟი. თვით მამა ჰფიქრობს, რომ წაიტყუა ვინმემო. ვერც პოლიციას და ვერც მშობლებს ჯერ ვერ მიუკვლევიათ, სად ან როგორ დაიკარგა ბავშვი.

*** ს. ბელოთი, (გორის მაზრა): ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც ბელოთის სამრევლოსა და მღვდლის შორის არსებობს დიდი უსიამოვნება. იქამდის გამწვავდა საქმე, რომ ბელოთელებმა რამდენჯერმე უჩივლეს მღვდელს მთავრობასთან; გამოძიებაც გათავდა, მაგრამ რაღაც მანქანების ძალით გამოძიების პასუხს ვერა და ვერ ეღირსნენ. მოთმინებიდგან გამოსულნი მღვდლის უკანონო მოქმედებით ყველა ბელოთელები, როგორც ერთი კაცი, გაიფიცნენ, აღარ შემოვუშვათ მღვდელი ჩვენს სამრევლოშიო; თავისი სიტყვა კიდეც შეასრულეს. რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონდეთ, თავიანთს მღვდელს აღარ ატყობინებენ. ხალხი ლამის გადაეჩვიოს ქრისტიანობას და გაურჯულოვდეს, წელიწადი იქნება, რაც ამისთანა მდგომარეობაში არიან. საჭიროა მთავრობამ ამ საქმეს სასტიკი ყურადღება მიაქციოს.

*** ასკანა, (გურია): მომავალ წლიდგან ასკანაში ახლანდელი ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა გადაკეთდება ორ-კლასიანად. სოფელმა ერთხმად გარდასწყვიტა ორ-კლასიანი სკოლის დაარსება და ხარჯის გამოღებისთვის ერთი წარბიც არ შეუხრია.

*** დ. სამტრედია: დიდად შეწუხებული ვართ აქაურის ქუჩების უსუფთაობისა გამო. ცოტა თუ წამოწვიმა, ფეხს ველარ გადადგამს ადამიანი ქუჩაში, რომ კისრამდის ტალახში არ ჩავარდეს. თუ დროზედ ყურადღება არ მიაქცია ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და ქუჩები არ დააწმენდინა, უსათუოდ ამ ზაფხულში რამე სენი გვეწვევა.

*** ქ. ზუგდიდი: ამ წლის „ივერიის“ 126 ნომერში ახალ-ამბებში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი ზუგდიდლებისათვის: ოლდენბერგის პრინცს და თავადს მინგრელსკის უთხოვნიათ, მიეცეთ ნება თავისის ხარჯით გამოიკვლიონ რკინის გზის გასაყვანი ადგილი; კავკავის რკინის გზის სადგურ პრახლადნაიდგან ზუგდიდისაკენ ფოთამდის. როგორც ამბობენ, ეს ახალი გამოსაკვლევი გზა ხაზინას, შედარებით უკვე გამოკვლეულ გზებთან, იაფად დაუჯდებაო. რამდენად მართალია ეს ხმა, ამას დაგვანახვებს ადგილების გამოკვლევა, რომელიც, უეჭველია, ამ ახლო მომავალში მოხდება; ზუგდიდლებმა დიდი ხანია შეიგნეს რკინის გზის მნიშვნელობა და ამისათვის გაიგეს თუ არა, რომ რუსეთი რკინის გზით კავკასიას უერთდებაო, მაშინვე მიმართეს თავ. მინგრელსკის თხოვნით, რომ მას ეშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე ზუგდიდში რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. როგორც სჩანს „ივერიის“ 126 ნომრიდგან, თავადს შეუწყნარებია ზუგდიდლების თხოვნა და ოლდენბურგის პრინცთან ერთად შესდგომია ამ საქმის გაძღოლას.

თუმცა ამ პატივცემულ პირთ „თავისის ხარჯით“ უკისრიათ ადგილების გამოკვლევა, მაგრამ ზუგდიდლებმა საჭიროდ დაინახეს თავისის მხრივ ხარჯის გამოღება და ქალაქის მოთავენი, მიუხედავად ზოგიერთ პირების წინააღმდეგობისა, კიდევაც შეუდგნენ ფულის შეგროვებას.

*** დ. ლანჩხუთი, (ოზურგეთის მაზრა): „ივერიის“ 130 №-ში ახალ-ამბებში მოთავსებულია: წელს დაბა ლანჩხუთში კარგი მოსავალი იყო აბრეშუმისაო და სხვა. მაგრამ კორესპონდენტს დავიწყებია ის, რაც უფრო საყურადღებოა. სამი წელიწადია, რაც დ. ლანჩხუთში ბუდე გაიკეთა უცხოელმა ბერძენმა, რომელმაც ორთქლის აპარატი გამართა ჭიის დასახოცად და ყოველ წლობით ყიდულობს 3000 ფუთამდე პარკს. ამავე ბერძენს მოაქვს აბრეშუმის თესლი „ორ-ნაირი“ და არიგებს სოფლებში. უკეთუ ვინმე ნაღდ ფულზედ იყიდის, მას აძლევს ცუდ თესლს. ვინც სამეოთხედოთ გამოართმევს, ე. ი. როცა მოსავალი მოუვათ, იმას მეოთხედს, მას კი კარგ თესლს აძლევს. დაუკვირდით, მკითხველო, და გაიგებთ, რით ხელმძღვანელობს ეს კაცი, როცა ასე იქცევა. თესლის გაყიდვაში ხომ გვატყუებს, მაგრამ არც პარკის სყიდვაში გვაყრის ხეირს:

მოაღწევს პარკის ყიდვის დრო თუ არა, დაიწყებენ ვაჭრობას და გაჰკვეთავენ ფუთზედ სულ მცირე ფასს. ახლა წონაშიაც ატყუებენ გამსყიდველს და გამოდის, რომ პარკი ამ კაცს ნახევარ ფასად მიაქვს. აი ასეთს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი აქაური მცხოვრებლები და ვერ მოუხერხებიათ, რითი უშველონ თავს. გვიკვირს სამეურნეო საზოგადოება რატომ ხელს არ ჰკიდებს ამ საქმეს და მათი კაცი არ დაიწყებს აქეთ სადის თესლის გაყიდვას. ამაში თვით საზოგადოებაც სარგებლობაში იქნება და ხალხსაც მიეცემა საშუალება, რომ უფრო მაგრად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

არა მგონია, რომ სხვა რომელიმე საქართველოს კუთხეში ცდილობდნენ და აკეთებდნენ ამდენ აბრეშუმს, რამდენსაც ლანჩხუთში. ამ წელს, როგორც გადმომცეს, აქაურს პარკის მყიდველებს 2,370 ფუთი პარკი უყიდნიათ, მიხედავად იმისა, რომ თესლიც ცუდი იყო და ნიადაგიც არ დაურჩა კარგი.

## ქუთაისის საბჭოს კერძო კომისიის საყურადღებოდ.

ამას წინად ქუთაისის ქალაქის საბჭომ ზოგიერთის ხმოსნების თაოსნო-

ბით და ქალაქის მოურავის—ბ. ლოლუას—გულმხურვალე მონაწილეობით მიიღო მთელის იმერეთისათვის ფრიად სასიამოვნო გარდაწყვეტილება. ეს გარდაწყვეტილება იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს საჭირო დ: იდღესასწაულონ ხანგრძლივი (35 წლის) დაუღალავი და მრავლად ნაყოფიერი ღვაწლი ჩვენის სასიქადულო ყოვლად უსამღვდელოესის ეპისკოპოსის გაბრიელისა.

ამ აზრით საბჭომ აირჩია თვისს შორის ცალკე კომისია საპატიო პირთა, რომელთაც დაავალა ერთის მხრით ნება-რთვის მიღება, როგორც ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისა, ისე უმაღლეს მთავრობისაგან და მეორეს მხრით შემუშავება თვით დღესასწაულის პროგრამისა. მე აქ არ შევეხები არც იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის ამნაირს დღესასებას საზოგადო მოღვაწეთა ამაგისას, არც იმას, თუ რა ღირს-შესანიშნავია ჩვენთვის თვით უბიწო ცხოვრება და თავ-განწირული შრომა ყველასათვის საყვარელისა და სასიქადულო მღვდელ-მთავრისა. ამას მივანდობთ იმათ, რომელთაც ზედმიწევნით შეუსწავლიათ ყოვლად-სამღვდელოს ცხოვრება და საქმენი. თავისს დროზედ, იმედია, იგინი შეასრულებენ ამ საზოგადო მოვალეობას.

მე მსურს მხოლოდ ერთს რამეს მივაქციო კერძო კომისიის ყურადღება, მით უმეტეს რომ სხვა ქვეყნებში ამნაირ შემთხვევის დროს მთელი საზოგადოება მიიღებს ხოლმე მონაწილეობას და ვისაც უნდა გამოსთქვამს თვისს აზრს, რომ რაც შეიძლება სავსებით და დიდებულად ჩაატარონ ამნაირი დღესასწაული.

ერთი აზრი მეც მომივიდა და მსურს გავუზიარო იგი ქუთაისის საბჭოს კერძო კომისიას.

სამუდამოდ დაუვიწყარი რამ შეიქნეს სახელი ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისა, შესაძლებელად მიმაჩნია დავუკავშიროთ იგი ერთს დიდს საქმეს, სახელდობრ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის აღდგენას იმავე პლანით, როგორითაც იყო იგი თავიდგანვე. ტეხნიკურის მხრით, ჩემის აზრით, შეუძლებელი აქ არა არისრა. როგორც ამბობენ (მე თვით არ მინახავს), დიუბუა დე-მონპერეს წიგნში ჩართულია თურმე ერთობრივი პლანი ამ ტაძრისა. ამას გარდა ნიჭიერი ხუროთ-მოძღვარი ადვილად აღადგენს შენობის წვრილმან აგებულობას იმ ნაშთის წყალობით და მიხედვით, რომელნიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან იქვე ხელ-უხლებლად. რაც შეეხება საშუალებისა მოპოვებას, ეს-კი უფრო საძნელოდ მიმაჩნია, მაგრამ თუ დავუკვირვდებით საქმეს, იმედი მოგვეცემა, რომ არც ამ მხრით არის შეუძლებელი რამ. საჭიროა მხოლოდ მივიღოთ ნება-რთვა, გავმართოთ ხელის მოწერა მთელს რუსეთის იმპერიაში. რუსეთის იმპერია დიდი და გულ-უხვია განსაკუთრებით ამნაირ საქმეში. მე იმედი მაქვს, რომ თუ რიგიანად იქმნა შედგენილი საზოგადოებისადმი მიმართვა შეწირულებისათვის—ამ ტაძრის ისტორია, მნიშვნელობა, სიმშვენიერე — ფული უხვად მოგროვდება არა კავკასიიდგან, მთელის რუსეთის ყოველ კუთხიდგან. მით უფრო სანუკვარია ამ აზრის სისრულეში მოყვანა, რომ თვით ყოვლად სამღვდელო გაბრიელს განუზრახავს ერთს დროს იგი და მიუწერია კიდევაც, სადაც ჯერ არს მის შესახებ, მაგრამ ცოტა რამეს შეუფერხებია ეს საქმე. შეიძლება ამ შემთხვევაში ეს წვრილმანი დაბრკოლება აიცილოს კაცმა თავიდგან და ამ ნაირად საფუძველი ჩაიდვას დიდისა და ღირს-შესანიშნავის საქმისა.

კ. ბაქრაძე.

---

## კორესპონდენცია.

**ს. ონოღია**, (სამეგრელო). ჩვენში არის იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესია, რომლის დღესასწაულიც ოც-და-ოთხს ივნისს არის. ჩვენი სოფლის მცხოვრებნი აზნაურნი გაბუნიები და გლეხებიც ყოველ წელიწადს დიდის ამბით ვეგებებოდით ამ დღესასწაულს. ამ დღეს იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის გალავანში დიდი საზოგადოება იყრის თავს და ნასადილევს იქვე მახლობელს მინდორზედ იმართება ჯირითი, მარულა, ცეკვა-თამაში და სხვა, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი ესწრება, მაგრამ ხან-და-ხან სიამოვნების ნაცვლად უსიამოვნებაც მოხდება ხოლმე, რადგან შექეიფიანებულს ხალხში ხშირად დატრიალდება ლეკურ ხანჯალი, რომელიც ზოგჯერ სისხლის ღვრით თავდება.

რადგან ეს დღესასწაული სოფლის მუშა ხალხისთვის მოუხერხებელ დროს არის, ამიტომ აქ მცხოვრებ აზნაურთა უმეტესმა ნაწილმა გარდასწყვიტა, რომ ეს დღესასწაული ოც-და-სამ სექტემბრისათვის გადავდოთო.

აზნაურთა აზრი კიდეც გამოუცხადა მღვდელმა ს. გაბუნიამ თავისს მრევლს და თავისს მხრივაც დასძინა, რომ საუმჯობესოდ მიმაჩნია 23 სექტემბერს ვიდღესასწაულოთ ეს დღეობაო (ამ დღეს მუცლად-ღებაა იოანე ნათლის მცემლისა). მაგრამ ხალხი არ დასთანხმდა ამ წინადადებას. აზნაურებმა ერთხმად აღიარეს, რომ თქვენ, გლეხთ, თუ გსურთ იდღესასწაულეთ 24 ივნისი, ხოლო ჩვენ-კი არ გავერევით ამ დღესასწაულშიო, მაგრამ სოფელმა მაინც თავისი გაიტანა და 24 ამ თვეს ჩვეულებრივად გაიმართა ლხინი, რომელშიაც მხოლოდ ერთი კომლი აზნაური იღებდა მონაწილეობას.

საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო ამ დღესასწაულს, მაგრამ ჩხუბი და უსიამოვნება მაინც არ ასცდა და, უეჭველია, სისხლიც დაიღვრებოდა თუ აზნ. გაბუნიები არ ჩარეოდნენ ამ უთავბოლოდ მოყაყანე ხალხს და არ გადაერეკნათ ისინი სამეჯლისო მოედნიდგან. მეორე დღეს, 25 ივნისს, უმეტესი ნაწილი იმ გლეხებისა, რომელნიც უარობდნენ 23 სექტემბერს დღესასწაულობას, დასთანხმდა აზნაურთა და მოძღვრის რჩევას და სამართლიანად სცნო ამ დღესაწაულის გადადება სექტემბრისათვის, მაგრამ, ვშიშობთ, რომ ამ დღესასწაულმა ფეხი არ აიდგას, თორემ თუ სიარული ისწავლა, თქვენი მტერია ძალიან შორს წავა.

რ.—ლი.

---

## სასიმღერო.

ვერა, მე ვერ შემაშინებთ,
საზიზღრების შური, მტრობავ,
დაცინებავ, ჭორო, ცილო
და იუდას გულ-ღვარძლობავ!
მარად თვალ-წინ მეხატება
ქრისტე თქვენგან ჯვარზე ცმული,
ქვეყნის მხსნელი, მაცხოვარი, —
ავაზაკად მიღებული; ·
მეხატება და გულ-მედგრად
ვამაყდები, ვითა ლომი,
ლხინად მიჩანს გველთა ქლეტა
და მხეცებთან შებმა-ომი!..

დ. მაჩხანელი.

---

## სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება ქ. ქუთაისში.

ეს რამდენიმე დღეა მას აქეთ, რაც დაიშალნენ აქეთ-იქით ერთის კვირის წინ შეკრებილნი ქუთაისში იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელნი. ისინი მოიწვია ამ წელს საეპარქიო რჩევამ სამაგალითო გაკვეთილების მოსასმენად და შესათვისებლად, რომ მით ცოტათი მაინც გაუკეთესდეს სწავლების საქმე სამრევლო სკოლებში. თუმცა ეს სკოლებიც და მათი რჩევაც კაი ხანია დაარსებულან, მაგრამ მასწავლებელთა კრებას ქუთაისში ჩვენ პირველად ვხედავთ. რატომ წინად არ ხდებოდა მსგავსი კრებები და ან რამ გამოიწვია ეს ახლა—ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით, იტყვიან: „უმჯობესია გვიან იყოს, ვინემ სულ არაო“. მასწავლებელნიც, სწორედ გითხრათ, ძლიერ გახარებულნი იყვნენ ამ შემთხვევით, რაც დამტკიცდა მით, რომ თითქმის ყველანი სისწრაფით ესტუმრნენ ქუთაისს. რჩევისგან მიპატიჟებულნი იყვნენ ს. კულაშიდგან ორნი ძმანი—კურნალნი, რომელთაგანს ერთს უფროსს უნდა ეძლია სამაგალითო გაკვეთილები რუსულში და არითმეტიკაში და უმცროსს—პრაქტიკულად აეხსნა მასწავლებელთათვის ბაღისა და ბოსტნის გაშენება. ელემენტების კანონიერ წერის შესასწავლებლად მოწვეულნი იყვნენ მასწავლებელნი: დათეშიძე და ჩიკვაიძე. ფუტკარზედ უნდა ებაასნა მათთან ნ. წერეთელს. არ იქნება მეტი, რომ ცოტა ვრცლად გავაცნოთ მკითხველი ამ საქმის მსვლელობას მთელის კვირის განმავლობაში. პირველს დღეს, ესე იგი პარასკევს, მასწავლებელნი რჩევის წევრებითურთ შეიკრიბნენ ფერმაში, სადაც მიუხედავად იმისა რომ ცუდი ამინდი იყო, თვალსაჩინოდ ებაასნენ მათ: მართველი სამეურნეო სკოლისა ლამაკინი ვაზის გაშენებაზედ; ამავე დროს ბ. კურნალი ესაუბრებოდა მათ ბოსტნის გაშენებაზედ, მესამე ადგილს-კი გამართული იყო ბაასი თუთუნის კეთებაზედ. ასე რომ, თვით მასწავლებელნიც სამ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი და თუმცა ყველას ყველგან უნდოდა ყოფილიყო, მაგრამ არ ხერხდებოდა, ცოტას აქ ისმენდნენ, ცოტას იქ და მთლათ-კი არაფერს, მობაასენი-კი გულ-მოდგინედ და სიამოვნებით ეწეოდნენ თავისს შრომას, მაგრამ მსმენელი სხვა-და-სხვა ალაგს ერთს თუ ისმენდა, მეორე უყურადღებოდ რჩებოდა. უმჯობესი იქნებოდა რჩევას ისე მოეწყო ეს, რომ თითოეულს საგანზედ მთელი ბაასი ყველასთვის დანიშნულ დროს ყოფილიყო. მაგრამ ამით ბევრი არაფერი დაშავებულა. მეორე დღეს, ესე იგი შაბათს, დანიშნული იყო ელემენტების კანონიერი წერა. აქ ბ. დათეშიძემ ქართულ წერაში და ჩიკვაიძემ რუსულში ერთ რიგად აუხსნეს მასწავლებელთ ეს საქმე და მცირე კამათის შემდეგ, რომელიც მოხდა სადამოს გაკვეთილების გარჩევის დროს, ყველანი თავ-თავისს ბინაზედ დაიშალნენ. საფუძვლიანი და საყურადღებო გაკვეთილები უნდა დაწყებულიყო ორშაბათს; ეს ასეც მოხდა, ესე იგი გაკვეთილები საგნებში დაიწყო სწორედ ორშაბათს და საფუძვლიანი იყვნენ ისინი თუ არა, ამას ქვევით დავინახავთ. არაა საჭირო დაწვრილებით გავაცნო მკითხველი მსვლელობას და გარჩევას თითოეულის გაკვეთილისას. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ხუთშაბათამდის თითოეულს დღეს შუადღემდის სამ-სამი გაკვეთილი იძლეოდა, სადამობით-კი ირჩეოდა თითოეული გაკვეთილი. გარეშე, კერძო შენიშვნებისა, გაკვეთილების გარჩევა დაიწყო და გათავდა (კიდეც( ერთის უმთავრესის ნაკლის ჩვენებით, რაშიაც საბჭოც კარგად დარწმუნდა. ეს დიდი ნაკლი ის გახლდათ, რომ სამ განყოფილებასთან ერთსა და იმავე საგანში და იმავე დროს მეცადინეობა რიგიანად არ გამოდიოდა. მართალია ბ. კ. კურნალი დახელოვნებული მასწავლებელია, ერთს განყოფილებასთან ის შეუდარებელიც არის, მაგრამ სხვა ორი განყოფილება მას თითქმის უმუშავოდ რჩებოდა, იმავე დროს და არა სხვა დროს, რასაკვირველია. მასწავლებლობამ არა ერთხელ მიმართა ბ. კურნალს, რომ აეხსნა მას ამის მიზეზი; ის არც თითონ ფარავდა ამას და განაცხადა, რომ სამ განყოფილებასთან მეცადინეობა ერთსა და იმავე დროს და ერთს საგანში სწორედ წყლის ნაყვააო, მეტს წარმატებას ვერავინ იქს და ამაზედ კამათი მე სულ ფუჭად მიმაჩნიაო. რჩევაც დასთანხმდა მას ამაში და გადასცა მასწავლებელთ: „ხედავთ, სხვა გზა არ არის, უნდა დავკმაყოფილდეთ იმითი, რაც გვიჩვენესო“-და სხვა. კი მარა, არ ვიცით, როგორ დაკმაყოფილდნენ იმ ერთის რუსულის გაკვეთილით, რომელმაც თითქმის სულ უმნიშვნელოდ ჩაიარა, ეს გახლდათ ეგრედ წოდებულ და ახლა მოდაში შემოღებულ „ბუნებით მეტოდით“ მიცემული გაკვეთილი; დათუ ამას ბუნებითი ჰქვია, მე სწორედ აღარ ვიცი ქვეყანაზედ უბუნებო და შეუფერებელი რაღა არის. არც ის მესმის, ამ ვაჟბატონებს რა აიძულებთ დაივიწყონ პირველი მოთხოვნილებანი სწავლებისა და მოედვნენ ლობე-ყორეს, რათა მით ლესონ ნორჩი გონება საცოდავ შეგირდებისა. ჩვენ არ ვადანაშაულებთ ბ. კურნალს, მან ისე სწირა, როგორც სთხოვეს და უწირავს თავისს სკოლაში, მხოლოდ რჩევას უნდა მიეღო თავის თავზედ შრომა, წინათვე მოეთხოვა კურნალისგან პლანი გაკვეთილებისა და ეთხოვა მისთვის არ მიეცა მას ეს გაკვეთილი, როგორც გამოუსადეგარი ყველგან, და სამრევლო სკოლებში განსაკუთრებით, სადაც ამ მეტოდს ჯერ არავის მასწავლებელთაგანს არ ავალებენ.—ხუთშაბათს დილით სუყველანი გავიფინეთ ფერმის ბაღისკენ, მშვენიერ ბუნების კალთაზედ, დავემწკრივეთ ყველანი, მოვიდა ნ. წერეთელიცა, დაიწყო ფუტკარზედ მან ბაასი და ჩვენ შევუდექით სმენას; მოსმენით-კი, სიცოცხლე გქვთ, მოვისმენთ მაგრამ სამწუხაროდ, შესმენით-კი არაფერი იმტელი; წერეთელიც აქ არაფერშია, კარგი მცოდნეც არის ამ საგანში და კარგი მობაასეც, მხოლოდ—მომეწყინა ამტელი ხსენება—რჩევას წინათვე უნდა მოემზადა წერეთლისთვის ყოველივე საჭირო იარაღები და შესაფერი ალაგი, რომ უფრო თვალ-საჩინოდ ეჩვენებია მას ის, რაზედაც გვებაასა. ეს უფრო გასაგებიც იქნებოდა და უფრო სასარგებლოც. ნაშუადღევს, გაკვეთილების გარჩევის დაწყებამდის მასწავლებლებთან გამართული ქონდა ბაასი უ. ნ. კურნალს, რომელიც სწორედ მოგახსენოთ, კარგი მცოდნეც არის თავის საქმისა და გარკვეული და სასიამოვნო მობაასეც. აგრეთვე დიდად საქებია მისი დაუზარებლობა და სიმარდე. ბოსტნის და ხეხილის გაშენება მასწავლებელთა მოკლეთ მისის დარიგებით კიდეც დაისწავლეს, ფუტკრებივით თავს ეხვივნენ მას და აღარ შორდებოდნენ. არც ამით დაკმაყოფილდა ბ. კურნალი და ბოლოს მთელი თავისი სასიამოვნო ნაბაასები დაავგვირგვინა ნაყოფით: თავისის ხელით მასწავლებელთა და ზოგიერთ გარეშე პირთა დასწრებით გააკეთა ალუბლისაგან ღვინო, დაბეჭდა ბოთლები და დასტოვა; იმედია, გაისათ მას დახვდება ჭაშნიკი ამ ღვინისა. ყველანი მისი ძლიერ მადლიერნი დარჩნენ. პარასკევს ზოგიერთ თვით სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა მისცეს გაკვეთილები, რომელიც გვარიანათ გამოვიდა ამით საქმეც გათავდა; შაბათ დილას ცოტაოდენი სახარჯო გროშები და დარიგება მიიღეს მასწავლებელთა რჩევის თავ-მჯდომარისაგან და გაუდგნენ თავიანთ სოფლებისაკენ.

დასკვნა: მადლობის ღირსია რჩევა ამ კრების მოხდენისათვის, ვისურვებთ შემდეგ წლებშიაც განმეორებულ იყოს მსგავსი კრებები. მხოლოდ რაც ახლა ნაკლი იყო შემჩნეული, როგორც ახალის საქმისა, ეს იმედია აცილებულ იქნება შემდეგში, ამაში გვარწმუნებს სიტყვები რჩევის თავმჯდომარისა დეკანოზის ცაგერეიშვილისა, რომლითაც ის ხშირად მიმართავდა ხოლმე მასწავლებელთ. „ეხლა ასე იყოს და შემდეგ საქმეს უფრო რიგიანათ დავაყენებთო.“ უეჭველია ამისთანა საქმე მართლაც მოითხოვს ღრმად დაფიქრებას და მოქმედების საფუძლიან პროგრამის შემუშავებას, ვფიქრობთ, რჩევა უეჭველად ეცდება გამონახოს და მოიპატიჟოს შემდეგ წლებში კარგი ოსტატი, რომელსაც სამაგალითოდ შეეძლოს სამ განყოფილებასთან ერთსა და იმავე დროს და ერთს სკოლაში გაკვეთილის მიცემა, ამით არ ვაწყენიებთ ჩვენს კეთილს კ. კურნალს, პირ-იქით ის აქეთ შემოგვწყრება, რომ ჩვენ მას ვუთხრათ შენზედ უკეთესი არავინ არის ქვეყანაზედ-თქო; თუ მოიძებნა ვინმე რომ კარგი და თუ არა, თქვენი ჭირი ხომ წაიღოს, კურნალისადმი ჩვენ მაინც მაშინაც ისეთი მადლიერნი ვიქნებით, როგორც ახლა. აგრეთვე მასწავლებელთათვის შესაკრები ალაგი მეტად შორს არის ქალაქიდგან, ორჯელ იქ მსვლელობით ისინი თითქმის იქანცებოდნენ, შეიძლება—ახლოსაც იშოვოს კაცმა უფრო სრული ოთახები და საჭირო იარაღები გაკვეთილის მისაცემათ და მაშასადამე რა საჭიროა ამ მანძილზედ ტოტყიალი; თუმცა ამ უთავრესს შეცდომეებს და ზოგიერთ სხვა წვრილმანებსაც, რომელიც ჩვენ ამ მცირე შენიშვნაში დავასახელეთ, შემდეგ წლებში საეპარქიო რჩევა აიცდენს, მაშინ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდს ამაგს დასდებს სამრევლო სკოლებს და თუმცა ახლა მადლობის ღირსია, მაშინ უეჭველად უფრო დიდს პატივს დაიმსახურებს ყველასაგან.

მცან.

## სამიწათ-მოქმედო ახალშენი „კრინიცა“.

—

70 ვერსზედ ქ. ნოვოროსიისკიდგან არის ერთი შესანიშნავი ახალშენი, სახელად „კრინიცა“. აი რას მოგვითხრობს ამ ახალშენის შესახებ გაზ. „კავკაზი“ (№ 168). წევრები ამ ახალ-შენისა არიან ინტელიგენტები, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, განათლებული კაცები. ახალ-შენსა აქვს 300 დესეტინა მიწა. ინტელიგენტები ყოველსავე სამუშაოს თავისის ხელით ასრულებენ და თავისის ცოდნის მეოხებით, ერთობ კარგადაც მიჰყავთ საქმე. აქვთ თავიანთი საზეინკლო, სადურგლო და აგრეთვე სხვა სახელოსნოები, რომ ყოველივე ხელ-საწყო, მეურნეობისათვის საჭირო, სასყიდლად არ დასჭირდეთ. მოჰყავთ ა) შემოდგომაზედ ნათესი პური, „ძონატის“ პური ორ დესეტინაზედ, ბ) ეგრედ წოდებული „ნოე“ 1 დეს., გ) „ბატელი“ 1 დეს., დ) გაზაფხულზედ ნათესი პური «საქსონიის“ პური 2 დეს., ე) «საქსონიის პური“ ზამთრის ანეულად გადაგვარებული 1 დეს., ვ) ჰიმალაის ხორბალი 4 დეს., ზ) კანადელი შვრია 4 დეს., Ⴇ) უბრალო შვრია 1 დეს., სულ 16 დესეტინაზედ. ბოსტნად აქვთ 2 დესეტინა; კარტოფილი უთესიათ 1 დესეტინაზედ, სარწყავ-სათიბები აქვთ 3 დესეტინა და ურწყავი 16. ამას გარდა გოდენინის შაქრის ქარხნისათვის 240 ოთხ-კუთხს საჟენზედ უთესიათ ჭარხალი; აქვთ გაშენებული 100 ძირი ვოლოცკის თხილის ხე, 100 ძირი სხვა-და-სხვა ხეხილი და 200 ძირი თუთის ხე. ვენახი გაუშენებიათ: ა) ბურგუნდიის ვაზი 2 დესეტინაზედ, ბ) «სოტერნი» 2 დეს., გ) საფერავი 100 ოთხ-კუთხს საჟ., დ) «ლაფიტი» 160 ოთხ-კუთხს საჟ. მაჭარს ჰყიდიან 5 მან. 50 კაპ. ჩაფს. აქვთ მშვენიერი სარდაფი, სადაც ახლო სოფლების მცხოვრებნიც ინახავენ თავისს ღვინოებს.

ამ ახალშენს ძლიერ დიდი კულტურული გავლენა აქვს გარეშემო სოფლებზედ. მაგალითად სოფ. «ბერეგოვაიაში», რომელიც 4 ვერსის სიშორეზედ მდებარეობს ახალშენიდგან, 1892 წ. 600 ოთხ-კუთხი საჟენი ვენახიც არ ყოფილა და ახლა-კი 7 დესეტინა ვენახია. ასე გასინჯეთ, ამ სოფლის სამ გლეხს ჯილდოებიც-კი მიუღიათ სამეურნეო გამოფენაზე. თითოეულს ოჯახს თავ-თავისი სახლი აქვთ, ასე რომ მშვენიერ სურათს წარმოადგენს დიდი სამოსახლო, აქაიქ გაფანტული პატარ-პატარა ლამაზი სახლებით და სუფთა ეზოებით. აქვთ აგრეთვე საერთო საიჯრო და ერთი სტუმრის-მისაღები ოთახი, რომელშიაც დგას ,,როიალი“.

საგანგებო წესდება არა აქვთ. ამით ახალშენლებმა დაამტკიცეს. რომ კანონი იქ საჭირო არ არის, სადაც ინტერესები წესიერად არის შეთანხმებული. შრომა, მიწის მუშაობა არის მათი უმთავრესი პრინციპი, და მართლადაც რომ სისრულით ასრულებენ იგინი მცნებას, ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი. თუმცა უნდა დავუმატოთ, არც სულიერ მოთხოვნილებას ჰყოფენ უარს. ამას ამტკიცებს მათი წიგნთ-საცავი, რომელშიაც 1000 ტომი იქნება თურმე სხვა-და-სხვა—რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის შესანიშნავ მწერალთა თხზულება.

აქედან სჩანს, რომ ამ ახალ-შენს არავითარი მსგავსება არა აქვს არც ტოლსტოისა და არც სხვა მწვალებელთა მოძღვრებასთან, რომელნიც მოთხოვნილებათა შემცირებას ჰქადაგებენ და რომელიც ამდაბლებს, მიწასთან ასწორებს კაცის ბუნებას*), ხოლო ხსენებული ახალშენი პირიქით ამაღლებს თავისს წევრების მოთხოვნილებათ, კიდევ უფრო კაცურ კაცად ჰხდის კაცს და უბედურებას-კი არ ავრცელებს გარეშემო, როგორც სხვა-და-სხვა მწვალებლები შვრებიან, არამედ ბედნიერებას.

ვ. წ.

*) რამდენად „სჩაგრავს, ამდაბლებს და მიწასთან ასწორებს კაცის ბუნებას მოთხოვნილების შემცირება“, ამაზედ, ჩვენ იმედი გვაქვს, მალე მოვილაპარაკებთ. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, პატივცემულს ავტორს, და აღვიაროთ, რომ მოთხოვნილების შემცირება მავნებელი და დასაგმობი იყოს ყოველთვის. ჯერ ისა, რომ „მოთხოვნილება“ მრავალგვარია და, მაშასადამე, არა ყოველი მოთხოვნილება არის პროგრესის მომასწავებელი და მეორეც—რა სასურველი და მისასწრაფებელია „მოთხოვნილების გამრავლება“, თუ სალსარი იმის დასაკმაყოფილებლად არ მოიპოვება!.

რედ.

## დებულება წვრილის კრედიტის დაწესებულებათათვის.

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა 1 ივნისს, 1895 წ.)

(შემდეგი *).

13. მცირე კრედიტის დაწესებულებათ შეუძლიანთ მოახდინონ შემდეგი ოპერაციები: ა) ფულის მიღება შესანახად; ბ) სესხის აღება და გ) მოკლე ვადიანის სესხის გაცემა არა უმეტეს 12 თვის ვადისა ამხანაგობისა ანუ კასსის წევრთათვის, მონაწილეთათვის, ანუ საზოგადოების წევრთათვის, ნრომელთ ბაკი აქვთ დაარსებული, პირადის ნდობით ან სხვის თავდებობით. გარდა ამისა ამ დაწესებულებათ (მუხ. 3) ნება აქვთ: დ) გასცენ გრძელ ვადიან შენახულ თანხისა და სესხისაგან და აგრეთვე თვისის თანხისაგან გრძელ-ვადიანი სესხი გ' ში აღნიშნულ პირთათვის არა უმეტეს ხუთის წლის ვადისა პირადის ნდობითა ან სხვისი თავდებობით; ე) გასცენ იმავე წყაროებიდგან იმგვარივე სესხი იმგვარსავე პირთათვის უძრავის ქონების, რომელიც მსესხებელის სრულს საკუთრებას შეადგენს, გირავნობით; ვ) გასცენ იმავე პირთათვის მოკლე ვადიანი სესხი არა უმეტეს 12 თვის ვადისა სამეურნეო, სახელოსნო და საოჯახო ნაწარმოებთა და სხვა საგანთა გირაოდ; ზ) დაეხმარნენ აღნიშნულ პირთ საჭირო საგნების ყიდვაში და მათის ნაწარმოების გაყიდვაში.

შენიშვნა. მოკლე ვადიანის სესხის გარდახდა და აგრეთვე გრძელ ვადიან სესხის სავადო გარდასახადთა შეტანა შეიძლება გარდადებულ იქმნას იმ წესით და ვადით, რომელნიც წესდებაში აღნიშნულნი არიან (მუხლი 3).

*) იხ. „ივერია“ № 136.

14 მცირე კრედიტის დაწესებულებათ ნება აქვთ დაუტოვონ სახმარებლად ან შესანახად მსესხებელთ მათგან გირაოდ მიღებული მოძრავი ქონება იმ პირობით, რომ ამ ქონების სია იყოს შედგენილი არა უმცირეს ორის მოწმის თანადასწრებითა და რომ ამ ქონებას ჰქონდეს რაიმე ნიშანი მათის დაგირავებისა (ბეჭედი, პლომბი, დაღი და სხვა), თუ-კი ეს მოხერხდება. თუ ქონებას ამნაირი ნიშნები არ გაუკეთეს, მაშინ მესამე პირს, რომელიც დაგირავებულს მამულს შეიძენს, არავითარი მოვალეობა არ ექნება საკრედიტო დაწესებულების წინაშე.

დაგირავებულის ქონების გასყიდვა ვალის მყიდველზედ გარდატანით შეიძლება მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების თანხმობით, რომელმაც სესხი გასცა. დაგირავებულ ქონების დამალვისა ან გაყიდვისათვის, ვიდრე სესხი გარდახდილი იქნებოდეს, საკრედიტო დაწესებულების დაუკითხავად, მსესხებელი ეძლევა პასუხის-გებაში იმ წესით, რა წესითაც პასუხს აგებენ სხვის მობარებულ ქონებათა გაფლანგვისათვის (მუხ. 1681, 1682 სასჯ. წესდებულ. და 177 მუხ. სასჯელ. წესდებისა 1885 წლისა).

15. თუ დაგირავებული მამული ისყიდება სახელმწიფო ან კერძო ვალის გასასტუმრებლად, სესხი, რომელიც მე-14 მუხლის ძალით გაცემული არის, თავდა-პირველად უნდა იქნას დაბრუნებული წვრილის კრედიტის ბანკში.

16. ბანკს შეუძლია თვისი სესხი აიღოს არა-თუ დაგირავებულ მამულიდან და ქონებიდან, არამედ მსესხებელის სხვა მამულ-ქონებიდანაც.

17. ვადას გადაცილებულის სესხის დაბრუნებისთვის საკრედიტო დაწესებულებათ ეხმარება პოლიცია, რომელიც მოწერილობის შემდეგ შვიდის დღის განმავლობაში ვალდებულია აწეროს მოვალის ყოველი ქონება, შემდეგ პოლიცია ვალის გარდახდევინებისთვის იქცევა ისე, როგორც საზოგადო კანონი ამბობს. სასოფლო ბანკები ვადა გარდაცილებულს სესხს იმ წესითა და რიგით იღებენ, რა წესიც შემოღებულია სოფლის გარდასახადთა აკრების დროს.

18. თუ მეორედ დანიშნული ვაჭრობაც ვერ მოხდა და დაგირავებული მამული ვერ გაიყიდა, მამული ხდება ბანკის სრულ საკუთრებათ რომელმაც იგი ნახევარ წლის განმავლობაში უნდა უთოდ გაყიდოს.

(დასასრული შემდეგ).

## რუსეთის ცხოვრება.

—

თუთუნის მწარმოებელთა დახმარების აღმოსაჩენად მთავრობას განუზრახავს აძლიოს მათ სესხი სახელმწიფო ბანკიდგან მოყვანილ თუთუნის გირაოს ქვეშ. მწარმოებელთ მიეცემათ სესხად 60% მოყვანილ თუთუნის ფასიდგან.

—

ახლად გარდაცვალებულის ცნობილის რუსის მწერალის ტერპიგორევის ქვრივს დაენიშნა პენსია 600 მან. წელიწადში. ეს პენსია პირველია იმ თანხიდან, რომელიც გადიდვა ხაზინიდგან 13 იანავრს ხელმწიფის ბრძანებისამებრ.

—

გამოცხადდა ახალი წესი საკრედიტო დაწესებულებათა რევიზიისა.

—

**პეტერბურგი**, 28 ივნისი. სამიწათ-მოქმედო სამინისტროს სამეურნეო ნაწილის ინსპექტორი თავადი ობოლენსკი დაინიშნა სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო სადგილ-მამულო ბანკთა მმართველად.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

იმისა გამო რომ ამ ჟამად პეტერბურგში აბისინიის დესპანნი იმყოფებიან, საინტერესოდ ვთვლითო,—ამბობს გაზეთი „ნოვოე ვრემია“,—რამდენადაც შესაძლებელია დაწვრილებით გავიცნოთ აბისინია. „ცერკ. ვედ.“-ს უკანასკნელს ნომერში აბისინიის შესახებ დაბეჭდილი წერილი როგორც გვაჩვენებს, სასულიერო განათლება ამ მხარეში საკმაოდ მაღლა მდგარა.

„მთელს მხარეში მრავალი სკოლებია მოფენილი, რომლებშიაც განსაკუთრებით სარწმუნოებრივს განათლებას იძენენ მოწაფენი. ხოლო დასაწყისს სარწმუნოებრივის განათლებისას ოჯახივე სძენს. ზრუნვა ბავშვის აღზრდისა და ნივთიერად დაკმაყოფილებისა მარტო მშობლებს-კი არა, მიმრქმელთაც ევალებათ. მოვალეობა მიმრქმელისა მუდამ ჟამს წმიდად და პირნათლად სრულდება აბისინიაში, რადგანაც მცირეოდენი გულგრილობა ან დაუდევრობა მიმრქმელის მხრივ საზოგადოებაში დიდს სიძულვილსა და საყვედურს გამოიწვევს ხოლმე დამნაშავისადმი. ყველა ობლებს, დიდებს თუ პატარებს, როგორც-კი მშობლები დაეხოცებათ, მაშინვე თავისთან აძლევენ ბინას მიმრქმეალნი და იმ დღიდგან მათის ოჯახის სხვწევრთაგან აღარაფრით განირჩევიან.

აბისინიაში მრავლად არის იმისთანა სკოლები, რომლებსაც სპეციალური მეცნიერების კურსი აქვთ. ასეთი სკოლები მეტად ძველის-ძველები არიან, რამდენიმე საუკუნოებით არსებობენ და კურსიც მუდამ უცვლელი რჩებათ. მაღალ სპეციალურ სკოლათა შორის აბისინიაში ყველაზედ მეტად გავრცელებულია ლექსთამთხზველი, ანუ როგორც ადგილობრივ კილოზედ ეძახიან „კ'ნე“,—სკოლა. ამ სკოლაში ლექსთა-თხზვას ასწავლიან. ის ადგილები, სადაც ასწავლიან, მეტად პოეტურად არის მოწყობილი.

საღამოთი, ბინდბუნდში, ვარსკვლავოსან ლაჟვარდ ცის ქვეშ, როდესაც ეს გარეგნული სანახაობა ისედაც უსაზღვროდ გაიტაცებს ხოლმე ოცნების სამთავროსაკენ ადამიანს, მოწაფეები მასწავლებელს გარს შემოეხვევიან ხოლმე; ყველანი მიწაზედ სხედან. მასწავლებელი დაიწყებ, რომელსამე ლექსს, გაიმეორებს ერთხელს მეორედ. ამავე ლექსს გაიმეორებს მასწავლებლის თანაშემწე („კ'ნე“-ში მუდამ არის ხოლმე ეს თანაშემწე), და მასთან ერთად ყველა მოწაფეები ერთად იმეორებენ ლექსის სიტყვებს. ლექსს იმეორებენ იქამდის, ვიდრე მოწაფენი თავისით არ შეიძლებენ თანაშემწის დაუხმარებლად მთელის ლექსის შეუცდომლად გამეორებას.

აი, სხვათა შორის, რა შინაარსისაა აბესინელ პოეტების მიერ შედგენილი ლექსები:

„ქვეყნის მაცხოვარი, მასწავლებელი—ზეცის სამთავროს ასწავლიდა, კაცობა თვისი ტანჯვათა ხეს ამოაფარა, მახვილითა ვნებისა თვისისა სიკვდილის ბორკილნი შემუსრა; აღდგომითა თვისითა ჯოჯოხეთი შეარყია; ტანჯვისა მტვირთველმა დაიმორჩილა ცოდვილთა სულნი.

„კ'ნე“-ს საუკეთესო მოწაფეთა ნაწარმოებნი ეკკლესიებშიაც-კი იგალობებიან ხოლმე ღვთის მსახურების დროს. ჯერ ავტორი მღერის მას, მერე ხორო, საუკეთესო მგალობელთაგან შემდგარი, რომელნიც „დაბტარად“ ანუ „ბალა-დუგათ“ იწოდებიანო.

# უცხოეთი

—

**ინგლისი**. გამოცხადდა საარჩევანო მანიფესტი ლაბუშერისა, დალციელისა, მორტონისა და სხვა რადიკალთა, რომელნიც თხოულობენ მრავალს დემოკრატულს რეფორმებს. საყურადღებოა, სხვათა შორის, შემდეგი: გაუმჯობესება საარჩევანო წესისა; მოსპობა ზედა-პარლამენტისა; ბრიტანიის ყველა ნაწილებში თვითმმართველობის შემოღება ირლანდიიდგან დაწყებული და მუშათა ზოგიერთ თხოვნათა დაკმაყოფილება.

—

**საფრანგეთი**. ფინანსთა სამინისტროში ამორჩეულ კომისიამ შეიმუშავა ახალი კანონი, რომლითაც განზრახულია შემოსავლის მიხედვით ხარჯთ-აღრიცხვის შემოღება. კომისიის შრომა პარლამენტს წარედგინება.

—

**იტალია**. «ნოვოსტის» დეპეშით, ჰუმბერტოს გრაფობა მიუნიჭებია კრისპისთვის, რათა საქვეყნოდ გამოუცხადოს მას ნდობა და პატივისცემა.

—

**ავსტრი უნგრეთი**. ლიბერალთა დასის წინამძღოლმა ცნობილმა პლენერმა ამ დღეებში უარი განაცხადა პოლიტიკურის მოღვაწეობისა.

—

**ათინა**, 27 ივნისი. «პალილინგეზია» და «ასტი» უკმაყოფილებას აცხადებენ საფრანგეთის ერთის გაზეთის წერილის გამო, რომელიც ოსმალეთს ურჩევს ბულგარიის თხოვნის შეწყნარებას ელლინიზმის საზარალოდ. „პალილინგეზია“ დასძენს, რომ თუ ბოლგარიის აგიტაციამ გაიმარჯვა მაკედონიაში, საბერძნეთი იძულებული გახდება ენერგიულის საშუალებით წინააღუდგეს ბოლგარიას, რათა დაამტკიცოს, რომ მაკედონიაში ბერძნებს რიცხვითაც და ზნეობითაც უპირატესობა ეკუთვნით.

—

**ლონდონი**, 27 ივნისი. გლადსტონი აცხადებს წერილით, რომ ირლანდიას უნდა მიენიჭოს თვით-მმართველობა, რადგანაც ამას მოითხოვს ინგლისის პატიოსნებაო.

—

**ვენა**, 27 ივნისი. «პოლიტიშე კორესპონდენც»-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან დეპეშით, რომ ინგლისისა, სარანგეთისა და რუსეთის ელჩებმა ხელ-ახლივ მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას განმარტოს ზოგიერთი ბუნდად დაწერილი ალაგები უკანასკნელის საბუთისა სომხეთის შესახებ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ერთმა ზღვაზე მოსამსახურემ, რომელიც იაპონიიდამ დაბრუნდა, სთქვა რომ იაპონელები მისთანა წესით ივარცხნიან თმას, რომ თმის საშუალებით კაცი შეატყობს არამც-თუ მათს წლოვანებას, არამედ იმასაც, რომელს ქალს ან ქვრივს უნდა გათხოვება. მაგ. ისინი, ვისაც გათხოვება უნდა, თმას მაღლა იყენებენ, შიგ გაცმული აქვთ დიდი სავარცხელი და მორთული აქვთ ძვირფასის ნივთე-

ბით. ისინი-კი—ვინც ქმარს არ ეძებს, მოკლე თმას იშვერენ, არც ირთავენ და მაღლა კი-არა, უკან ივარცხნიან.

რასაკვირველია, იაპონიაში გრძელ-თმიანი ქალები გაცილებით უფრო მეტნი იქნებიან მოკლე თმიანებზედ.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ივნისი.

**პეტერბურგი**, 28 ივნისის პეტრე-პავლეს ტაძარში წირვის შემდეგ მიტროპოლიტის კლიმენტის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე III სულის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრნენ ბულგარიის დეპუტაცია და სლავურ საქველმოქმედო საზოგადოების მრავალნი წევრნი. ტაძარი მლოცველებით სავსე იყო. მიტროპოლიტმა იმპერატორის საფლავი გვირგვინით შეამკო; გვირგვინს ეწერა: „მეფის-წულს—სარდალს, მეფეს მშვიდობის-მყოფელს მუდამ ჟამს გულით მადლობელ ბულგარელ ერისაგან“. მიტროპოლიტმა გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა და ბულგარელ ერის მხრივ გულითადი პატივისცემა განუცხადა სრულიად რუსეთის საიმპერატორო სახლეულობასა და რუსის დიდსულოვანს ერს.

**ასხაბათი**, 27 ივნისს, ღამით, ძლიერად იძრა მიწა, რამდენიმე სახლი დასკდა.

**ლონდონი**, 28 ივნისი. რკინის გზათა კონგრესი დაიხურა, შემდეგი კონგრესი 1900 წელს შესდგება პარისში.

**პარისი**, 28 ივნისი. საპატიმროთა კონგრესი დაიხურა. პროგრამის ყველა საგნები საზოგადო კრებაზედ იქმნა განხილული.

**სოფია**, 28 ივნისი. „აჟანს ბალკანიკ“-ი იუწყება, საერო კრების პრეზიდენტმა ტოდოროვმა დეპეშით აუწყა მინისტრ-პრეზიდენტს სტოილოვს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა შაბათს მიიღო დეპუტაციის წევრნიო. მიტროპოლიტმა გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა და მადლობა გარდაუხადა ბულგართა მიღებისა და გულ-წრფელ სურვილისა გამო, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდეს კეთილი დამოკიდებულებანი ბულგარიასა და მის განმათავისუფლებელ რუსთა შორის. მინისტრმა განაცხადა, რომ მართალია რუსეთსა და ბულგარიას შორის დიპლომატიური დამოკიდებულება შეწყვეტილია, მაგრამ მაინც რუსეთს ბულგარიისათვის კეთილი ჰსურს და სიმპატიით ეპყრობაო.

**ლონდონი**, 28 ივნისი. „ტან“-ს ატყობინებენ დეპეშით სტამბოლიდგან: „როგორც ზოგიერთი ნიშნები ამტკიცებენ, ბულგარია სერიოზულს მდგომარეობაშია; მთავრობას არ შეუძლია მაკედონიის მოძრაობა როგორმე შეაყენოს. ბულგარიის მხედრობაში მსახურმა ზოგიერთმა მაკედონელმა ოფიცრებმა სამსახურს თავი დაანებეს, რომ აჯანყებულთ შეუერთდნენ“.

**რომი**, 28 ივნისი. ადუიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ მენელიკმა კაპუჩჩი დაატყვევა, ის ერთად-ერთი იტალიელი, რომელიც შოაში დარჩა და ღენერალ ბარატტიერთან საიდუმლო მიწერ-მოწერა ჰქონდაო. ადუაში ამ დაპატიმრებას წინად განზრახულადა სთვლიან. ცოტა ადრე ხარარიდგან ამბავი მოვიდა, რომ რუსეთისა და საფრანგეთის მისსიები ურჩევდნენ მენელიკს კაპუჩჩი შოადგან გაეგზავნაო.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სიროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6 სამ-შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდა გასასყიდად.

## სახელმძღვანელო

ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის.

შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ.

**ფასი წიგნისა სამი აბაზი.**

---

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 9 აგვისტოს 1895 წ., დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისს ბანკის საკუთარს შენობაში, მოხდება საჯაროდ ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, გიორგი ეფიმის ძის წერეთლის უძრავის ქონებისა, რომელიც იმყოფება ქ. ბათუმს, „მუფთიის“ ნაწილში და შესდგება ერთ-სართულიან ხის შენობისაგან ქვის საძირკველზედ, მიწა ზომით $68^1_4$ ოთხ. კუთხი საჟ., რადგანაც ბანკის სავალო გარდასახადები და ნედოიმკები დროზედ არ იქმნა შემოტანილი. თავნი ვალი ამ მამულზედ ითვლება სულ 798 მან. 11 კ. და ნედოიმკები 194 მან. 64 კ. სულ 992 მან. 75 კ. ვაჭრობა დაიწყება 992 მან. 75 კ.—გან, რომელსაც მიემატება ვაჭრობის დღემდის შემდგარი დარჩენილი შემოსატანი ფული და საქალაქო გარდასახადი. თავნი ვალი ბანკისა შეიძლება დაიფაროს ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, მანეთზე მანეთი მათის ღირებულობისა, და აგრეთვე ბანკის თანხმობით შეიძლება მყიდველზედაც იქმნას გადატანილი. ხოლო სავალო შემოსატანი გარდასახადი და დარჩენილი ფული უნდა ნაღდის ფულით იქმნას გარდახდილი. თუ რომ 9 აგვისტოს 1895 წ. დანიშნულ საჯაროდ ვაჭრობით მამული არ გაიყიდება, მაშინ უკანასკნელი ვაჭრობა მოხდება 23 აგვისტოს 1895 წ. ბანკის წესდების § 16 მუხ. ძალით. დარჩენილი გარდასახადი თავისის სარგებლითა და ყოველ გვარ ხარჯით მამულის სავაჭროდ დანიშვნისა გამო მსესხებელს ნება ეძლევა წარადგინოს დანიშნულ ვაჭრობის ერთის დღით ადრე.

(3—6—1).

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . | , | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | , | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | , | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | , | 60 |


# სითხე ბაღლინჯოებისა და ნესტის ჭიის წინააღმდეგ

კ ე ლ ლ ე რ ი ს ა.

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

ეს სითხე უნდა წაუსვათ რითიმე ან ასხუროთ იმ ადგილას, სადაც ეს ჭიებია და მაშინვე გასწყვეტს და მათთან ერთად კვერცხებსაც; ასე რომ დიდ ხნობამდის ამ ადგილებში ხსენებული ჭიები აღარ გაჩნდება.

სითხეს არავითარი განსაკუთრებული ფერი არა აქვს, ხმარების დროს ავეჯეულობასა და კედლებზედ ლაქებს არ სტოვებს და ძალიან იაფადაცა ღირს.

(2—17—1)

---

L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—10)

---

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, **Большая Морская, 37.**

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემუშწოდასადგურებზედ.

50—6—32



Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Іюня 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.